Марром и Ив. Джавахишвили о происхождении "Амирандареджаниани", полемика с А. Сараджишвили с целью выявления подложных мест текста "Витязя в тигровой шкуре" и т.д.).

Ученый попытался поправить отдельные ошибочные места в современных испорченных текстах (например, "Житие Нины", "Абдулмесиани", "Тамариани" и др.).

Таким образом, М. Джанашвили в течение десятков лет усердно работал над богатым национально-литературным наследием и оказал значительную услугу как грузинской филологии, так же и грузинскому обществу, поскольку, напечатанные им письма и статьи в прессе или сборниках, помогли развитию науки и, вместе с тем, п[illegible]ризации древнегрузинской письменности среди обширной публики.

В заключении по[illegible] выявлена заслуга М. Д[illegible]

ОСНОВН[illegible]

1) Руств[illegible] и ученых ТГУ [illegible] 9-44.

2) М. Джа[illegible] и-89", Тб., 1989[illegible]

3) Новая [illegible] 95-96", Тб., 1996[illegible]

4) М. Джа[illegible] ная сессия Тбили[illegible] или (посвящается[illegible]

899.962-1
3-743
- 1742 -

აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „[illegible]

✉: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №17ბ

☎ 22-43-62, 25-05-22

899.962-1
3-743

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირინე ვლადისლავის ასული გოფოძე

მოსე ჯანაშვილი — ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა

თბილისი

1999

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლევან მენაბდე**

ექსპერტი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ სირაძე

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნესტან სულავა**
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **მარინე ჯაიანი**

წამყვანი ორგანიზაცია – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის 12 ნოემბერს 15⁰⁰ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P.10.01. C №2 სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, 380028, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის 8 ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, პროფესორი ნ. ტაბიძე

-1742-

თემის აქტუალობა. XIX საუკუნის მიწურული და XX საუკუნის დასაწყისი ქართული კულტურის შესწავლისა და ეროვნული მეცნიერების მძლავრი განვითარების პერიოდია. ამ დროს ნიადაგს იმყარებდა ქართველოლოგიაც, მოღვაწეობდა ძველი ქართული მწერლობის მრავალი თვალსაჩინო მკვლევარი, რომელთა შორის გახლდათ გამოჩენილი მეცნიერი მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი.

ფართო ერუდიცია, მრავალმხრივი საქმიანობა და უსაზღვრო შრომისმოყვარეობა ხელს უწყობდა მეცნიერის ნაყოფიერ კვლევას.

მ. ჯანაშვილმა დატოვა მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც, შეიძლება ითქვას, დღემდე სათანადოდ ათვისებული არ არის. მართალია, გამოქვეყნდა კ. კეკელიძის, ვ. თოფურიას, შ. ძიძიგურის, კ. გრიგოლიას, ს. მაკალათიას, არჩ. ჯანაშვილის, ა. ინაშვილის თუ სხვათა გამოკვლევები, რომლებიც აშუქებენ მ. ჯანაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტს, მაგრამ მისი, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევრის საქმიანობა ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი, არ არის მკვეთრად გამოკვეთილი მ. ჯანაშვილის ღვაწლი იმ პრობლემურ საკითხთა გადაწყვეტაში, რომლებიც იდგა XIX-XX სს. მიჯნაზე ქართველოლოგიის წინაშე და რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის.

მეცნიერის მიერ სხვადასხვა მონოგრაფიასა თუ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილ წერილებში გამოთქმულია მეტად საყურადღებო შეხედულებები, ფასეული ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების სრულყოფილი სურათის წარმოსაჩენად.

ამგვარად, მ. ჯანაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლა ძველი ქართული მწერლობის კვლევის თვალსაზრისით ფრიად აქტუალურია. ის ნაწილობრივ მაინც შეავსებს იმ ხარვეზს, რომელიც შეიმჩნევა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

სადისერტაციო ნაშრომი მოსე ჯანაშვილის, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევრის, წარმოჩენის მიზნით კ. კეკელიძის მიერ დაწყებული კვლევის სრულყოფის ერთი მოკრძალებული ცდაა. აქ საგანგებოდ არის გაანალიზებული მეცნიერის ზოგიერთი აქამდე შეუსწავლელი სპეციალური გამოკვლევა თუ საგაზეთო სტატია.

პრობლემის შესწავლის დონე. მ. ჯანაშვილის მოღვაწეობას ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის კუთხით არაერთი მეცნიერი შეხებია (კ. კეკელიძე, ლ. გუგუშვილი, კ. იმედაშვილი და სხვ.), მაგრამ მკვლევრის მიერ 1875-1934 წლებში დაბეჭდილი მრავალი გამოკვლევა თუ საგაზეთო წერილი დღემდე სრულად აღრიცხული არ იყო და, შესაბამისად, არც საფუძვლიანად განხილული.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს მ. ჯანაშვილის, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევრის, საქმიანობის მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას. მასში სრულად არის განხილული მეცნიერის მიერ აღწერილი ხელნაწერები, ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემები, სხვადასხვა კრებულსა თუ პერიოდულ პრესაში მოთავსებული შრომები. ყოველივე ეს წარმოჩენილია